სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/39

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 28 ივლისის №0000920813 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-04/138 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. გაერთიანდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმის წარმოების და ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტები და მათ ბაზაზე შეიქმნას ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური;
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე